შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 23526

27/08/2018

ააიპ „აჭარაში მოწყვეტილ დედათა და მამათა სახელობის საეკლესიო
კომპლექსის აღორძინების და განვითარების ფონდისათვის" (ს/ნ 405218027)
საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ

ააიპ „აჭარაში მოწყვეტილ დედათა და მამათა სახელობის საეკლესიო კომპლექსის აღორძინების და განვითარების ფონდმა" (ს/ნ 405218027) შემოსავლების სამსახურს მომართა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების თხოვნით და წარმოადგინა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. აღნიშნული, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად შეთანხმდა საქართველოს ფინანსთა მინისტრთან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ააიპ „აჭარაში მოწყვეტილ დედათა და მამათა სახელობის საეკლესიო კომპლექსის აღორძინების და განვითარების ფონდს" (ს/ნ 405218027) მიენიჭოს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

2. მომსახურების დეპარტამენტმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მე-17 ნაწილით განსაზღვრული მონაცემები ააიპ „აჭარაში მოწყვეტილ დედათა და მამათა სახელობის საეკლესიო კომპლექსის აღორძინების და განვითარების ფონდის" (ს/ნ 405218027) შესახებ შეიტანოს საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში.

3. მომსახურების დეპარტამენტმა ააიპ „აჭარაში მოწყვეტილ დედათა და მამათა სახელობის საეკლესიო კომპლექსის აღორძინების და განვითარების ფონდზე" (ს/ნ 405218027) გასცეს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მამუკა ტერაშვილი

სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე